საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №84
2020 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 168-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ III, 08.12.2008 №175, სარეგისტრაციო კოდი: 300.280.000.16.009.012.460) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. $9^1$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

**„მუხლი $9^1$. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას” ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) | 220/380 ვოლტი: | | |
| ა.ა) | 2021 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე | – | 11.543 თეთრი/კვტსთ; |
| ა.ბ) | 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე | – | 9.427 თეთრი/კვტსთ; |
| ბ) | 3,3-6-10 კილოვოლტი: | | |
| ბ.ა) | 2021 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე | – | 4.977 თეთრი/კვტსთ; |
| ბ.ბ) | 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე | – | 4.950 თეთრი/კვტსთ; |
| გ) | 35-110 კილოვოლტი: | | |
| გ.ა) | 2021 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე | – | 2.763 თეთრი/კვტსთ; |
| გ.ბ) | 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე | – | 1.851 თეთრი/კვტსთ.”; |

2. $11^1$ მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული დროებითი ტარიფები ძაბვების მიხედვით:

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) | 220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი): | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| | 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე | – | 27.085 თეთრი/კვტსთ; |
| ბ) | 3,3-6-10 კილოვოლტი: | | |
| | 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე | – | 26.169 თეთრი/კვტსთ; |
| გ) | 35-110 კილოვოლტი: | | |
| | 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე | – | 23.955 თეთრი/კვტსთ.“; |

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში (სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აბონენტებისათვის) საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული დროებითი ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) | 101 კვტსთ-ის ჩათვლით: | | |
| | 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე | – | 15.026 თეთრი/კვტსთ; |
| ბ) | 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით: | | |
| | 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე | – | 18.396 თეთრი/კვტსთ; |
| გ) | 301 კვტსთ-დან და მეტი: | | |
| | 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე | – | 22.226 თეთრი/კვტსთ.“. |

**მუხლი 2**
2017-2020 წლების განმავლობაში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ შესყიდული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასის კორექტირების ფარგლებში დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობის იმ ნაწილს, რომლის ანაზღაურებაც ვერ მოხდება ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფით, კომისია გაითვალისწინებს 2021 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდის ელექტროენერგიის განაწილების ტარიფში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 3**
დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

| | |
|---|---|
| საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე | დავით ნარმანია |
| კომისიის წევრი | გოჩა შონია |
| კომისიის წევრი | გიორგი ფანგანი |
| კომისიის წევრი | გიორგი ფრუიძე |